განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
არქეოლოგია, ბაკალავრიატი

შეფასების თარიღ(ებ)ი
12 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
განათლების საფეხური	მეექვსე (უმაღლესი განათლების პირველი) - ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არქეოლოგიის ბაკალავრი, 1115
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კონსტანტინე ფიცხელაური, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ემზარ კახიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შემუშავდა და ავტორიზაციის რეჟიმში ხორციელდება 2008 წლიდან. 2014 წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. პროგრამა ამზადებს თანამედროვე სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციისა და არქეოლოგიური კვლევისთვის აუცილებელი პროფესიულ/პრაქტიკული უნარების მქონე არქეოლოგს. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ამზადებს განათლებულ და კვალიფიციურ არქეოლოგებს და მაქსიმალურად ხელს უწყობს მათ თვითრეალიზაციას კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების თვალსაზრისით, რაც განაპირობებს ქვეყანაში პატიოსნებასა და შრომაზე დაფუძნებული პროფესიული საქმიანობით წარმატებული ახალგაზრდა არქეოლოგების რაოდენობის ზრდას.

ამ მიზნის მისაღწევად სასწავლო გეგმა თეორიულ ცოდნაზე ორიენტირებულ კურსებთან (შესავალი არქეოლოგიაში, ქვისა და ბრინჯაოს, რკინის ხანის, კლასიკური პერიოდის, შუა საუკუნეების არქეოლოგია, არქეოლოგიური კვლევის მეთოდები და სხვა) ერთად მოიცავს პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებსა და აქტივობებს (გეოინფორმატიკა, საველე არქეოლოგიური პრაქტიკა, მინის, კერამიკული ნაწარმისა და ლითონის ნაკეთობათა ტექნოლოგია და კონსერვაცია.

პროგრამა კომპლექსურ, ინტერდისციპლინურ სწავლებაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს გამოუმუშაოს კურსდამთავრებულს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, განუვითაროს მას არქეოლოგისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს, თეორიულ სალექციო კურსებთან ერთად მასში ჩართულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც კულტურის სფეროს რამდენიმე ორგანიზაციაში ხორციელდება (მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო და სხვ.). სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის კონცენტრაცია და შეიძინოს სპეციფიური ცოდნა არტმარკეტინგისა და არტმენეჯმენტის სფეროებში. პროგრამის ამგვარი სტრუქტურა კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ზრდას უწყობს ხელს და დასაქმების საკმაოდ ფართო პერსპექტივას სთავაზობს მას.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია. პროგრამა ანიჭებს არქეოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას. მისი სტრუქტურა საკმაოდ მოქნილია, აგებულია ძირითადი და დამატებითი (major/minor) -სპეციალობის ან ძირითადი სპეციალობის შესაბამისი კონცენტრაციის არჩევის პრინციპით და სტუდენტს დამატებითი სპეციალობის მიღების ან კონცენტრაციის არჩევის შესაძლებლობას აძლევს. პროგრამის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

კონცენტრაცია „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“

- პროგრამის ძირითადი საგნები - 168 კრედიტი
- არჩევითი საგნები - 108 კრედიტი
- თავისუფალი კრედიტები - 132 კრედიტი

- კონცენტრაცია „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“- 42 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი აკადემიური და მატერიალური რესურსით, პროგრამას ემსახურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საგამოცდო ცენტრები. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩაირიცხა 90 სტუდენტი, დაამთავრა 4 სტუდენტმა, კურსდამთავრებულთა 50% დასაქმებულია (მათ შორის, სპეციალობის მიხედვით დასაქმებულია 50%). ამჟამად პროგრამას ჰყავს 36 სტუდენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს - საქართველოს უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12 მარტს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში; ჩატარდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც კონსტრუქციულად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად **პირველი და მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია** მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 3.1, 3.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და, ამდენად, **მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**, ვინაიდან 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ამდენად, **მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

1. უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის სწავლებას;
2. ძველი ბერძნული და ლათინური ენიდან ისწავლებოდეს ერთ-ერთი (სტუდენტის არჩევანის შესაბამისად).
3. „ანტიკური კულტურის საფუძვლები“ სილაბუსში მითითებულია მხოლოდ ერთი ძირითადი ლიტერატურა, არ იქნება ურიგო ლიტერატურის დამატება; ასევე სილაბუსები - „რკინის ხანის არქეოლოგია“ და „შუა საუკუნეების არქეოლოგია“ მოითხოვს განახლებას ახალი აღმოჩენების ფონზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობების (სავალდებულო პრაქტიკის მიღმა) გამრავალფეროვნება;
2. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება (არქეოლოგიურ ექსპედიციაში უცხოელი არქეოლოგების და სტუდენტების ჩართვა) ასევე, პროგრამის სტუდენტების მეტი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში ევროპული გამოცდილების მისაღებად, სწავლების პროცესში უცხოელი სპეციალისტების და/ან ექსპერტების ჩართვა.
3. მუშაობა სტუდენტის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების მეთოდების გასააქტიურებლად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სრულფასოვან ინტერნაციონალიზაციაზე, მათ ინტეგრაციაზე საერთაშორისო საგანმანათლებლო/სამეცნიერო სივრცეში და უქმნის მათ შესაძლებლობას სწავლა გააგრძელონ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ მიზნით უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს მომზადებას ინგლისური ენის აკადემიური გამოცდისთვის (TOEFL) და ინგლისური ენის აკადემიური გამოცდისთვის (IELTS);

2. შეძენილი და მოწყობილია არქეოლოგიური ბაზა სამშვილდის ნაქალაქარის მიმდებარედ;

3. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უცხო ენების შესწავლის ლაბორატორია;

4. პროგრამის მდგრადობა თვალნათლივაა დასაბუთებული სკოლის ერთიანი ბიუჯეტის ფარგლებში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - ეწყობა ექსპედიციები და სტუდენტები მონაწილეობენ საგამოფენო სივრცეების მოწყობაში;

- საანგარიშო პერიოდში განახლდა ცალკეული სასწავლო კურსების საკითხავი მასალა და ლიტერატურა, რომელიც დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგების მიღწევას;
- არქეოლოგიური ბაზის შეძენა და მისი აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციისა და არქეოლოგიური კვლევისთვის აუცილებელი პროფესიულ/პრაქტიკული უნარების მქონე არქეოლოგი. ამ მიზნის მისაღწევად სასწავლო გეგმა თეორიულ ცოდნაზე ორიენტირებულ კურსებთან (შესავალი არქეოლოგიაში, ქვისა და ბრინჯაოს, რკინის ხანის, კლასიკური პერიოდის, შუა საუკუნეების არქეოლოგია, არქეოლოგიური კვლევის მეთოდები და სხვა) ერთად მოიცავს პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებსა და აქტივობებს (გეოინფორმატიკა, საველე არქეოლოგიური პრაქტიკა, მინის, კერამიკული ნაწარმისა და ლითონის ნაკეთობათა ტექნოლოგია და კონსერვაცია. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, კარგად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; 2. საქართველოს უნივერსიტეტის მისია; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; 4. უნივერსიტეტის ვებგვერდი (განთავსებულია პროგრამა); 5. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - გაფართოვდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამომყალიბებელი დისციპლინებისა და არქეოლოგიური პრაქტიკის ნუსხა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

სამშვილდის ნაქალაქარის ექსპედიციისათვის შეძენილია საექსპედიციო შენობა/ბაზა.

შეფასება

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გაცნობის, სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა:

1. არქეოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და განაპირობებს იმ ძირითადი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, რომელიც პროგრამის მიზანშია გაწერილი;
2. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - არქეოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას, არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი.
3. დაწესებულებისსკოლის დირექტორი და /დეპარტამენტის/პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამაში მონაწილე აკადემიური

პერსონალის ჩართულობას პროგრამის განვითარების პროცესში. კერძოდ, აკადემიური პერსონალის ჩართულობა გამოიხატება გუნდური მუშაობის პრინციპით, რაც გარანტიაა იმისა, რომ პროგრამა არ გამოხატავს მხოლოდ მისი ხელმძღვანელის ხედვას, არამედ გათვალისწინებულია გამოცდილი აკადემიური პერსონალის მოსაზრებებიც;

4. დამსაქმებლის/პოტენციური დამსაქმებლის ჩართულობა უზრუნველყოფს პროგრამის მოქნილობას და ადაპტაციას ბაზრის მოთხოვნათა ცვალებადობასთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
2. საქართველოს უნივერსიტეტის მისია;
3. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
4. უნივერსიტეტის ვებგვერდი (განთავსებულია პროგრამა);
5. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და მათ შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სტუდენტის ჩარიცხვა პროგრამაზე ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამაზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრზანების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია (http://www.ug.edu.ge/public/programs); 2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. კერძოდ , უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით , არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არქეოლოგიის ბაკალავრი შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოთი უმაღლესი განათლების პირველი

საფეხურისათვის განსაზღვრულ მიმართულებას (1 1) - დარგთაშორისი მიმართულებები , ხოლო სპეციალობა არქეოლოგია – კვალიფიკაციის დარგს / სპეციალობას (1115); პროგრამის კომპონენტები სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას. არქეოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: პროგრამის ძირითადი საგნები - 168 ECTC (18 ECTS სავალდებულო ინგლისური ენა); თავისუფალ კრედიტს - 12 ECTC და დამატებითი სპეციალობის საგნებს 60 ECTS ან კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში საგანTა კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:; პროგრამის ძირითადი საგნები - 168 ECTS (მათ შორის 18 ECTS სავალდებულო ინგლისური ენა); თავისუფალ კრედიტს 18 ECTC; არჩევითი საგნები 12 ECTC და საგანთა კონცენტრაციას კულტურული მენეჯმენტში 42 ECTS.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; 2. (http://www.ug.edu.ge/public/programs); 3. ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; 4. კურიკულუმის რუკა; 5. წინაპირობების მატრიცა; 6. სილაბუსები. 7. პერსონალთან ინტერვიურება
რეკომენდაციები: - უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის სწავლებას; - ძველი ბერძნული და ლათინური ენიდან ისწავლებოდეს ერთ-ერთი (სტუდენტის არჩევანის შესაბამისად).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ყველა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები სრულ თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და სწორედ მათი შედეგების ერთობლიობით გამომუშავებული ცოდნა, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები ქმნიან პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. თითოეული სავალდებულო კურსის შინაარსი კურსით გამოსამუშავებელი შედეგების რელევანტურია, ხოლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა - 6 ECTS (150 საათი), საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული დრო და მათი თანაფარდობა ცალკეული კურსების სპეციფიკის ადეკვატურია და უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას და სასურველი შედეგის მიღწევას. „ანტიკური კულტურის საფუძვლები“ სილაბუსში მითითებულია მხოლოდ ერთი ძირითადი ლიტერატურა, რაც არ არის საკმარისი და საჭიროებს ლიტერატურის დამატებას.; ასევე სილაბუსები - „რკინის ხანის არქეოლოგია“ და „შუა საუკუნეების არქეოლოგია“ მოითხოვს განახლებას ახალი აღმოჩენების ფონზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
2. სილაბუსები;

3. კურიკულუმის რუკა;
4. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;

რეკომენდაციები:

„ანტიკური კულტურის საფუძვლები“ სილაბუსში მითითებულია მხოლოდ ერთი ძირითადი ლიტერატურა, არ იქნება ურიგო ლიტერატურის დამატება; ასევე სილაბუსები - „რკინის ხანის არქეოლოგია“ და „შუა საუკუნეების არქეოლოგია“ მოითხოვს განახლებას ახალი აღმოჩენების ფონზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის პრაქტიკული მუშაობის უნარების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით არქეოლოგიის პროგრამა ითვალისწინებს აუცილებელ საველე -არქეოლოგიურ პრაქტიკას,

რომელიც ორგანიზებული და დაგეგმილია სწავლის სასურველი შედეგების შესაბამისად და არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილე სტუდენტს უვითარებს არქეოლოგისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული მუშაობის, ნივთიერი კულტურის ნიმუშების იდენტიფიცირების, საველე დღიურის წარმოების, პრაქტიკის ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის უნარებს. საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის მდგრადობას უზრუნველყოფს საქართველოს უნივერსიტეტის კეთილმოწყობილი არქეოლოგიური ბაზის არსებობა სამშვილდის ტერიტორიაზე და, ასევე, თანამედროვე არქეოლოგიური მუშაობისთვის აუცილებელი სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი და დაკომპლექტებული უნივერსიტეტის ყოველწლიური არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელშიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად კვლევით ნაწილში ჩართული არიან უცხოელი სპეციალისტები და საველე-არქეოლოგიური მუშაობისთვის განკუთვნილი ფინანსები, რომელთა გამოყოფაც ყოველწლიურად ხდება უნივერსიტეტის და ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტიდან; სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ექსპედიციებში, რაც მათი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. მათ შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ/მონაწილეობა მიიღონ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ახალგაზრდა არქეოლოგთა ყოველწლიურ კონფერენციაში და/ან სტუდენტურ კონფერენციებში. სასწავლო ციკლის ბოლოს სტუდენტი ამზადებს და საბჭოს წინაშე წარადგენს საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც ასევე ორიენტირებულია კვლევითი უნარის (ბაკალავრის დონეზე) გამომუშავებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ჩატარებული კონფერენციების პროგრამები და მოხსენებათა კრებულები; 2. განხორციელებული საველე პრაქტიკა; 3. პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია; 4. მემორანდუმები; 5. არქეოლოგიური ექსპედიციის დაფინანსების ამსახველი დოკუმენტაცია; 6. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დებულება.
რეკომენდაციები: სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ორ სხვადასხვა ექსპედიციაში, პრაქტიკის და გამოცდილების მიზით არ იქნება ურიგო მემორანდუმები გაფორმდეს სხვა არქეოლოგიურ

ექსპედიციებთან, რათა სტუდენტებმა მეტი გამოცდილება და ცოდნა შეიძინონ სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზე მუშაობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შედგენისას, დასახული მიზნებისა და სასურველი შედეგის მისაღწევად, შეირჩეულია სწავლების რელევანტური მეთოდები. შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის განხორციელება ხდება კონკრეტულად აღებული სასწავლო კურსისა თუ კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლების სხვადასხვა მეთოდის (წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, წერითი რეფერატების მომზადება, დემონსტრირების მეთოდი, საველე პრაქტიკა და სხვ.) გამოყენებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაში სწავლების საფეხურთან (საბაკალავრო) და

უზრუნველყოფს როგორც ცალკეული სასწავლო კურსის ისე მთლიანად პროგრამის მიზნების მიღწევადობას. სწავლების მეთოდების სასწავლო კურსთან შესაბამისობის და ეფექტურობის შეფასების მექანიზმს წარმოადგენს სტუდენტის და აკადემიური პერსონალის მოსაზრებების დაფიქსირება კითხვარების მეშვეობით. მიღებული შედეგების გაანალიზების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, ხდება შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება უკეთესი შედეგის მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სწავლა-სწავლების მეთოდების ნუსხა; 2. აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

